სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/93

ქ. თბილისი 30 ივნისი 2020 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ გიორგი ქვარცხავას მოხსენებითი ბარათი აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანების 21-ე მუხლის, სტუ-ში აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის, სტუ-ის აკადემიური პერსონალის აფილირების წესის, აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ გიორგი ქვარცხავას მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 30 ივნისის №01-05-02/20 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:;**

I. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე 2020 წლის 14 ივლისს გამოცხადდეს ღია კონკურსი 2020-2021 სასწავლო წლიდან 4 წლის ვადით აკადემიური თანამდებობების (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტი) დასაკავებლად:
II. დამტკიცდეს ვაკანტური აკადემიური თანამდებობების ჩამონათვალი შესაბამისი საგანთა ჯგუფებით (დანართი 1).
III. დამტკიცდეს საკონკურსო პირობები და კონკურსზე წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა (დანართი 2).
IV. დამტკიცდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და მასობრივი კომუნიკაციის საშუალებაში გამოსაქვეყნებელი ტექსტი (დანართი 3).
V. 65 წლისა და მეტი ასაკის მქონე პირის მიერ აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის საკითხის აკადემიური საბჭოს მიერ განხილვის მიზნით, აღნიშნული ასაკის მქონე პირმა განცხადება უნდა შეიტანოს უნივერსიტეტის კანცელარიაში წინამდებარე განცხადების გამოქვეყნებიდან 2020 წლის 24 ივლისის ჩათვლით.
VI. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის შემადგენლობა (დანართი 4).

VII. საკონკურსო განცხადებების მიღება დაიწყოს 2020 წლის 14 აგვისტოდან და გაგრძელდეს 19 აგვისტოს ჩათვლით ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა), 10^{00}-დან 17^{00} საათამდე საკონკურსო კომისიის სამდივნოში.

VIII. კონკურსი ჩატარდეს 2020 წლის 1-2 სექტემბერს. კონკურსის პირველადი შედეგები გამოქვეყნდეს არაუგვიანეს 2020 წლის 02 სექტემბრისა საკონკურსო კომისიის მიერ თვალსაჩინო ადგილზე და უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.gtu.ge.

IX. კონკურსი ჩატარდეს "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და "აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესახებ" დებულების შესაბამისად.

X. საკონკურსო კომისიის მიერ გათვალისწინებული იქნეს: კონკურსანტის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობა საკონკურსო თანამდებობასთან, მათ შორის საკონკურსო თანამდებობის პროფილის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი, პრაქტიკული, სასწავლო-მეთოდური და პედაგოგიური საქმიანობა; სხვა აქტივობები, მიღწევები, კვალიფიკაციები, გამოცდილება და დამსახურება; ასევე (კომისიის გადაწყვეტილებით) კონკურსანტის მიერ ჩატარებული ლექციის ან/და საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტთან (კონკურსანტებთან) ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

XI. კონკურსის ჩატარების წესის დარღვევასთან დაკავშირებით საკონკურსო კომისიაში განცხადებების/საჩივრების მიიღება მოხდეს 2020 წლის 07 სექტემბრის ჩათვლით.

XII. კონკურსის შედეგების დამტკიცება აკადემიურ საბჭოში და კონკურსის საბოლოო შედეგების გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე (www.gtu.ge) მოხდეს 2020-2021 სასწავლო წლის დაწყებამდე. კონკურსში გამარჯვებულ პირებთან აფილირებისა და შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება მოხდეს 2020-2021 სასწავლო წლიდან.

XIII. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებით საჭირო ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება.

XIV. დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**